

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2024

შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება „ NEW TECHNIC “

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-16
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.	12
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები.....	13
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები.....	13
შენიშვნა 8. ფინანსური ხრჯები	13
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	14
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
შენიშვნა 14. საგადასახადო ვალდებულებები	15
შენიშვნა 15. გადასახდელი სესხები	15
შენიშვნა 16. წინა პერიოდის გადაანგარიშება	15
შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	16
შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეთა ორპერაციები	16
შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	16

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „NEW TECHNIC“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა მეწარმის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- მეწარმეს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე;
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- მეწარმის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის მეწარმის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მეწარმის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მეწარმის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

მეწარმის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 30 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ზვიად წილოსანი

2024 წლის 30 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2023	31,12,2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2416195	2382165
არამატერიალური აქტივები	9	551	551
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 416 746	2 382 716
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	9477311	12331803
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	3282128	2015538
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	2182604	784682
სხვა მიმდინარე აქტივები		4268	600
სულ მიმდინარე აქტივები		14 946 312	15 132 624
სულ აქტივები:		17 363 057	17 515 340
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		16823130	14830625
რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		16 823 130	14 830 625
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	474003	794261
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15	0	1873059
საგადასახადო ვალდებულებები	14	65925	17394
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		539 928	2 684 714
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17 363 057	17 515 340

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2023	31,12,2022
ამონაგები	5	13564550	13684550
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10 131 098)	(10 485 047)
საწყისი ნაშტი		(12 331 803)	(12 042 486)
შემენილი ნედლეული და მასალები		(7 276 606)	(10 774 364)
საბოლოო ნაშტი		9 477 311	12 331 803
საოპერაციო მოგება		3 433 453	3 199 503
სხვა შემოსავლები	6	0	155104
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(297 605)	(247 434)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(15 877)	(10 886)
კომუნალური ხარჯები		-	-
სხვა ხარჯები	7	(316 154)	(283 097)
ფინანსური ხარჯები	8	80 328	396 060
მოგება დაბეგვრამდე		2 884 145	3 209 249
მოგების გადასახადი		(133 746)	(40 867)
საანგარიშო წლის მოგება		2 750 399	3 168 383

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიადი წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ
31.დეკ.21	-	11 893 822	11 893 822
გაცემული დივიდენდები		(231 579)	(231 579)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		3 168 383	3 168 383
კაპიტალის ზრდა/კლება		-	-
31.დეკ.22	-	14 830 625	14 830 625
გაცემული დივიდენდები		(757 895)	(757 895)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		2 750 399	2 750 399
კაპიტალის ზრდა/კლება		-	-
31.დეკ.23	-	16 823 130	16 823 130

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	16 088 956	15 956 220
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(9 525 545)	(11 062 181)
გადახდილი გადასახადები	(2 649 588)	(2 643 446)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	3 913 823	2 250 593
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(720 000)	(220 000)
მიღებული სესხები	3 041 239	5 638 035
გადახდილი სესხები	(5 457 603)	(7 156 757)
გადახდილი პროცენტები	(46 906)	(149 329)
მიღებული პროცენტები	-	-
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	667 369	(87 302)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(2 515 901)	(1 975 353)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	1 397 922	275 240
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	784 682	509 442
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2 182 604	784 682

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 31 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“ ს/კ 445384726, შემდგომში როგორც „საზოგადოება“, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებული ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2010 წლის 27 მარტი, საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო ქ. ბათუმი გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა N12. საზოგადოების დირექტორია: ზვიად წილოსანი ხოლო დამფუძნებელი და 100%-ის წილის მფლობელია ფიზიკური პირი გერონტი დიასამიძე.

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით, საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით.

საზოგადოება ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საზოგადოების სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ასევე წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია მეწარმისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საზოგადოების პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი საზოგადოების ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდამოშვას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდამოშვებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი გადასახდელი

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან

(გ) აქტივის დემონტაჟის ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების წმიდა საბალანსო ღირებულებას არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთი

შენობა-ნაგებობები	15-20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა ძირითადი საშუალებები	5-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასე-

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ბული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევსებულების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	13564550	13684550
ჯამი	13564550	13684550

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	31.12.2023	31.12.2022
სხვა შემოსავალი	0	155104
ჯამი	0	155104

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
საპენსიო დანარიცხების ხარჯი		
საიჯარო ქირა	(203 036)	(192 871)
ბანკის საკომისიო	(30 055)	(39 276)
ტრანსპორტირების ხარჯი	(5 052)	(7 310)
მივლინების ხარჯი	(44 676)	-
დაზღვევის ხარჯი	(10 549)	-
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები	(288)	(1 146)
სხვა საერთო ხარჯი	(22 498)	(42 494)
ჯამი	(316 154,32)	(283 097)

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
გადახდილი პროცენტები	(46 905)	(149 329)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	808779	704486
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(668 625)	(124 281)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(12 921)	(34 816)
ჯამი	80 328	396 060

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	31.12.2021
მიწა	2326980	0	0	2326980	0	0	2326980
შენობა ნაგებობა	3759	0	395	4154	0	395	4549
მანქანა დანადგარები	27719	24407	4998	8310	0	2557	10867
ოფისის აღჭურვილობა ავეჯი და სხვა ინვენტარი	26537	0	3809	30346	0	3908	34254
სატრანსპორტო საშუალებები	31200	25500	6675	12375	0	4125	16500
არამატერიალური აქტივები	551	0	0	551	0	0	551
სულ ძირითადი საშუალებები	2 416 746	49 907	15 877	2 382 716	-	10 985	2 393 701

შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	9 465 432	12 318 389
ნედლეული და მასალები	8 063	2 435
მზა პროდუქცია	32	32
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	3 784	10 947
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9 477 311	12 331 803
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	10 131 098	10 485 047

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	642 185	782 055
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2 639 943	1 233 483
სხვა მიმდინარე ქატივები	4 268	600
ჯამი	3 286 397	2 016 138

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	110 607	121 309
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	965 397	651 966
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკი	1 106 600	11 407
ჯამი	2 182 604	784 682

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.
კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მოწოდ. და მომსა. წარმოქმნილი ვალდებულებები	474 003	794 261
მიღებული ავანსები	-	-
ჯამი	474003	794261

შენიშვნა 14. საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
ხაზინის ერთიანი საბიუჯეტო გადასახადი	65 925	17 394
ჯამი	65925	17394

შენიშვნა 15. გადასახდელი სესხები	31.12.2023	31.12.2022
ბანკის სესხი გრძელვადიანი	-	1 873 059
ჯამი	0	1873059

შენიშვნა 16. წინა პერიოდის გადაანგარიშება

კომპანია ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების გადაანგარიშება, რომელთაც შემდგომი გავლენა იქონიეს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ანგარიშგებაზე.

2021	წინა ანგარიშგების მიხედვით	გადაანგარიშება	გადაანგარიშებული თანხა
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	80 880	19 770	100 650
მოთხოვნები მიწოდებებიდან და მომსახურებიდან	1 707 454	(1 046 561)	660893
შემენილი საქონელის	12014322	(7 422)	12006900
საგადასახადო ვალდებულებები	(161)	(272 011)	(272 172)
გაუნაწილებელი მოგება	(13 200 046)	1306224	(11 893 822)

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

გადაანგარიშება შეეხო; ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 19770 ლარი; მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 1046561 ლარი; შეძენილ საქონელს 7422 ლარი; საგადასახადო ვალდებულებებს 272011 ლარი

კომპანია შემოწმებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019-2021 წლები, ხოლო გამოცემულ იქნა შემოწმების აქტი 31.05.2021 წელს, სადაც კომპანიის ბალანზე აღრიცხული მუხლზე (1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) მიწის რეალიზაციის შედეგად უფისირდებოდა მოთხოვნა ფ/პ გერონ დიასამიძეზე 1026540 ლარი, შემოწმების პროცესში შემოსავლების სამსახურის აუდიტორების მიერ განხილულ იქნა როგორც დებიტორის მიერ მიღებულ თანხად ხოლო შემდგომ დამფუძნებელზე გაცემულ დივიდენდად რომელსაც დაეთანხმა კომპანიის ხელმძღვანელობა. რის შედეგად გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები.

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საზოგადოების მიერ გაცემულია 842105 ლარის დივიდენდი.

შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

	2023 წ	2022 წ
უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	55025	45638

შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

8-16 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„NEW TECHNIC“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2024

შეზღუდული პასუხისმგებლობი საზოგადოება „NEW TECHNIC“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-16
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	9
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები. 12	
შენიშვნა 5. ამონაგები	13
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები.....	13
შენიშვნა 7. სხვა ხარჯები.....	13
შენიშვნა 8. ფინანსური ხრჯები	13
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	14
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	14
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.....	14
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	15
შენიშვნა 14. საგადასახადო ვალდებულებები	15
შენიშვნა 15. გადასახდელი სესხები	15
შენიშვნა 16. წინა პერიოდის გადაანგარიშება	15
შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები.....	16
შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეთა ორპერაციები	16
შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	16

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „NEW TECHNIC“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა მეწარმის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- მეწარმეს მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- მეწარმის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის მეწარმის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს მეწარმის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- მეწარმის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

მეწარმის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ **2024 წლის 30 სექტემბერი**.

ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი: ზვიად წილოსანი

2024 წლის 30 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2023	31,12,2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2416195	2382165
არამატერიალური აქტივები	9	551	551
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		2 416 746	2 382 716
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	9477311	12331803
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	3282128	2015538
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	2182604	784682
სხვა მიმდინარე აქტივები		4268	600
სულ მიმდინარე აქტივები		14 946 312	15 132 624
სულ აქტივები:		17 363 057	17 515 340
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		16823130	14830625
რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		16 823 130	14 830 625
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები		0	0
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	474003	794261
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	15	0	1873059
საგადასახადო ვალდებულებები	14	65925	17394
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		539 928	2 684 714
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		17 363 057	17 515 340

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2023	31,12,2022
ამონაგები	5	13564550	13684550
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(10 131 098)	(10 485 047)
საწყისი ნაშტი		(12 331 803)	(12 042 486)
შეძენილი ნედლეული და მასალები		(7 276 606)	(10 774 364)
საბოლოო ნაშტი		9 477 311	12 331 803
საოპერაციო მოგება		3 433 453	3 199 503
სხვა შემოსავლები	6	0	155104
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(297 605)	(247 434)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(15 877)	(10 886)
კომუნალური ხარჯები		-	-
სხვა ხარჯები	7	(316 154)	(283 097)
ფინანსური ხარჯები	8	80 328	396 060
მოგება დაბეგვრამდე		2 884 145	3 209 249
მოგების გადასახადი		(133 746)	(40 867)
საანგარიშო წლის მოგება		2 750 399	3 168 383

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიადი წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელ ი მოგება	სულ
31.დეკ.21	-	11 893 822	11 893 822
გაცემული დივიდენდები		(231 579)	(231 579)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		3 168 383	3 168 383
კაპიტალის ზრდა/კლება			-
31.დეკ.22	-	14 830 625	14 830 625
გაცემული დივიდენდები		(757 895)	(757 895)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		2 750 399	2 750 399
კაპიტალის ზრდა/კლება			-
31.დეკ.23	-	16 823 130	16 823 130

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი

დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	16 088 956	15 956 220
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(9 525 545)	(11 062 181)
გადახდილი გადასახადები	(2 649 588)	(2 643 446)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	3 913 823	2 250 593
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(720 000)	(220 000)
მიღებული სესხები	3 041 239	5 638 035
გადახდილი სესხები	(5 457 603)	(7 156 757)
გადახდილი პროცენტები	(46 906)	(149 329)
მიღებული პროცენტები	-	-
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	667 369	(87 302)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(2 515 901)	(1 975 353)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	1 397 922	275 240
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	784 682	509 442
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2 182 604	784 682

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 31 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „NEW TECHNIC“ ს/კ 445384726, შემდგომში როგორც „საზოგადოება“, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებული ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2010 წლის 27 მარტი, საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია: საქართველო ქ. ბათუმი გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩა N12. საზოგადოების დირექტორია: ზვიად წილოსანი ხოლო დამფუძნებელი და 100% -ის წილის მფლობელია ფიზიკური პირი გერონტი დიასამიძე .

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა: საბითუმო ვაჭრობა სხვა მანქანებით და მოწყობილობებით, საბითუმო ვაჭრობა სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, მოწყობილობებით.

საზოგადოება ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საზოგადოების სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ასევე წარმოდგენილია წინა შესადარისი პერიოდის შესადარისი ინფორმაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია მეწარმისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საზოგადოების პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო საზოგადოების ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ საზოგადოების ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი საზოგადოების ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შენიშვნა 3. საადრიცხო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი გადასახდელი

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან

(გ) აქტივის დემონტაჟის ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში ან შემდეგში

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ვინაიდან მოსალოდნელია გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულებების წმიდა საბალანსო ღირებულებას არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთი

შენობა-ნაგებობები	15-20
მანქანა-დანადგარები	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-15
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-15
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
სახვა ძირითადი საშუალებები	5-10

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასე-

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ბული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოს არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევბუღებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	13564550	13684550
ჯამი	13564550	13684550

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	31.12.2023	31.12.2022
სხვა შემოსავალი	0	155104
ჯამი	0	155104

შენიშვნა 7. სხვა ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
საპენსიო დანარიცხების ხარჯი		
საიჯარო ქირა	(203 036)	(192 871)
ბანკის საკომისიო	(30 055)	(39 276)
ტრანსპორტირების ხარჯი	(5 052)	(7 310)
მივლინების ხარჯი	(44 676)	-
დაზღვევის ხარჯი	(10 549)	-
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები	(288)	(1 146)
სხვა საერთო ხარჯი	(22 498)	(42 494)
ჯამი	(316 154,32)	(283 097)

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
გადახდილი პროცენტები	(46 905)	(149 329)
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	808779	704486
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(668 625)	(124 281)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(12 921)	(34 816)
ჯამი	80 328	396 060

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	31.12.2023	შემოსვლა	გასვლა	31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	31.12.2021
მიწა	2326980	0	0	2326980	0	0	2326980
შენობა ნაგებობა	3759	0	395	4154	0	395	4549
მანქანა დანადგარები	27719	24407	4998	8310	0	2557	10867
ოფისის აღჭურვილობა ავეჯი და სხვა ინვენტარი	26537	0	3809	30346	0	3908	34254
სატრანსპორტო საშუალებები	31200	25500	6675	12375	0	4125	16500
არამატერიალური აქტივები	551	0	0	551	0	0	551
სულ ძირითადი საშუალებები	2 416 746	49 907	15 877	2 382 716	-	10 985	2 393 701

შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	31.12.2023	31.12.2022
საქონელი	9 465 432	12 318 389
ნედლეული და მასალები	8 063	2 435
მზა პროდუქცია	32	32
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	3 784	10 947
სულ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9 477 311	12 331 803
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	10 131 098	10 485 047

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.12.2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	642 185	782 055
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	2 639 943	1 233 483
სხვა მიმდინარე ქატივები	4 268	600
ჯამი	3 286 397	2 016 138

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	110 607	121 309
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	965 397	651 966
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 106 600	11 407
ჯამი	2 182 604	784 682

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით.
კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
მოწოდ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	474 003	794 261
მიღებული ავანსები	-	-
ჯამი	474003	794261

შენიშვნა 14. საგადასახადო ვალდებულებები	31.12.2023	31.12.2022
ხაზინის ერთიანი საბიუჯეტო გადასახადი	65 925	17 394
ჯამი	65925	17394

შენიშვნა 15. გადასახდელი სესხები	31.12.2023	31.12.2022
ბანკის სესხი გრძელვადიანი	-	1 873 059
ჯამი	0	1873059

შენიშვნა 16. წინა პერიოდის გადაანგარიშება

კომპანია ფინანსური ანგარიშგების უკეთ წარდგენის მიზნით, მოახდინა ფინანსური ანგარიშგების ცალკეული ელემენტების გადაანგარიშება, რომელთაც შემდგომი გავლენა იქონიეს კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებულ ანგარიშგებაზე.

2021	წინა ანგარიშგების მიხედვით	გადაანგარიშება	გადაანგარიშებული თანხა
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	80 880	19 770	100 650
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1 707 454	(1 046 561)	660893
შემენილი საქონელის	12014322	(7 422)	12006900
საგადასახადო ვალდებულებები	(161)	(272 011)	(272 172)
გაუნაწილებელი მოგება	(13 200 046)	1306224	(11 893 822)

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო

გადაანგარიშება შეეხო; ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში 19770 ლარი: მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 1046561 ლარი: შეძენილ საქონელს 7422 ლარი: საგადასახადო ვალდებულებებს 272011 ლარი

კომპანია შემოწმებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019-2021 წლები, ხოლო გამოცემულ იქნა შემოწმების აქტი 31.05.2021 წელს, სადაც კომპანიის ბალანზე აღრიცხული მუხლზე (1410 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან) მიწის რეალიზაციის შედეგად უფსირდებოდა მოთხოვნა ფ/კ გერონ დიასამიძეზე 1026540 ლარი, შემოწმების პროცესში შემოსავლების სამსახურის აუდიტორების მიერ განხილულ იქნა როგორც დებიტორის მიერ მიღებულ თანხად ხოლო შემდგომ დამფუძნებელზე გაცემულ დივიდენდად რომელსაც დაეთანხმა კომპანიის ხელმძღვანელობა. რის შედეგად გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები.

შენიშვნა 17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საზოგადოების მიერ გაცემულია 842105 ლარის დივიდენდი.

შენიშვნა 18. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

	2023 წ	2022 წ
უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	55025	45638

შენიშვნა 19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

საზოგადოების ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერი.

ხელმძღვანელობის სახელით:

ზვიად წილოსანი
დირექტორი

2024 წლის 30 სექტემბერი
ბათუმი, საქართველო